

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №28

2017 წლის 10 ნოემბერი

ქ. სამტრედია

„სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 დეკემბრის №28 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი 01.01.2017, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.120.016219), როგორც შემოსავლების ნაწილში, ასევე ხარჯების ნაწილში, ფუნქციონალური და ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ცვლილებების შეტანის საკითხი და დაადგინა:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 დეკემბრის №28 დადგენილებაში.

მუხლი 2

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი (დანართი №1) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ნუგზარ ჯამბურია

დანართი №1

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით :

(ათას ლარებში)

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	11,920.6	14,061.0	4,521.1	9,539.9	14,404.5	3,585.5	10,819.0	14,804.4	3,270.5	11,533.9



გადასახადები	1,547.5	1,882.2	0.0	1,882.2	4,091.7	0.0	4,091.7	4,200.0	0.0	4,200.0
გრანტები	9,032.5	10,717.2	4,521.1	6,196.1	8,985.1	3,585.5	5,399.6	7,906.6	3,270.5	4,636.1
სხვა შემოსავლები	1,340.6	1,461.6	0.0	1,461.6	1,327.7	0.0	1,327.7	2,697.8	0.0	2,697.8
ხარჯები	9,523.3	10,390.2	1,009.7	9,380.5	9,926.9	459.1	9,467.8	9,822.0	487.9	9,334.1
შრომის ანაზღაურება	2,652.0	1,748.8	79.7	1,669.1	2,117.4	84.8	2,032.6	1,826.0	81.8	1,744.2
საქონელი და მომსახურება	1,493.8	1,792.6	850.6	942.0	1,361.9	283.8	1,078.1	1,422.2	271.3	1,150.9
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სუბსიდიები	4,666.4	5,766.5	72.9	5,693.6	4,965.0	86.5	4,878.5	4,843.6	86.7	4,756.9
გრანტები	0.0	322.9	0.0	322.9	367.4	0.0	367.4	1.0	0.0	1.0
სოციალური უზრუნველყოფა	700.6	619.5	6.5	613.0	947.6	4.0	943.6	1,009.8	4.6	1,005.2
სხვა ხარჯები	10.5	139.9	0.0	139.9	167.6	0.0	167.6	719.4	43.5	675.9
საოპერაციო საღდო	2,397.3	3,670.8	3,511.4	159.4	4,477.6	3,126.4	1,351.2	4,982.4	2,782.6	2,199.8
არაფინანსური აქტივების ცვლილება	2,168.9	3,524.4	3,394.3	130.1	3,599.6	3,214.3	385.3	6,402.5	2,879.3	3,523.2
ზრდა	2,299.4	3,567.8	3,394.3	173.5	3,686.5	3,214.3	472.2	6,608.4	2,879.3	3,729.1
კლება	130.5	43.4	0.0	43.4	86.9	0.0	86.9	205.9	0.0	205.9
მთლიანი საღდო	228.4	146.4	117.1	29.3	878.0	-87.9	965.9	-1,420.1	-96.7	-1,323.4
ფინანსური აქტივების ცვლილება	228.4	140.1	117.1	23.0	768.5	-157.6	926.1	-1,527.0	-177.1	-1,349.9
ზრდა	228.4	140.1	117.1	23.0	926.2	0.0	926.2	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	228.4	140.1	117.1	23.0	926.2		926.2	0.0		
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0



აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	0.0	0.0	0.0	157.7	157.6	0.1	1,527.0	177.1	1,349.9
ვალუტა და დეპოზიტები		0.0			157.6	157.6		1,527.0	177.1	1,349.9
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.1	0.0	0.1	0.0	0.0	0.0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ცვლილება	0.0	-6.3	0.0	-6.3	-109.5	-69.7	-39.8	-106.9	-80.4	-26.5
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	6.3	0.0	6.3	109.5	69.7	39.8	106.9	80.4	26.5
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	6.3	0.0	6.3	109.5	69.7	39.8	106.9	80.4	26.5
ბალანსი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000

მუხლი 2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2017 წლის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობები,



გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	12 051,1	14 104,2	4 521,1	9 583,1	14 491,5	3 585,5	10 906,0	15,010.3	3,270.5	11,739.8
შემოსავლები	11 920,6	14 060,8	4 521,1	9 539,7	14 404,5	3 585,5	10 819,0	14,804.4	3,270.5	11,533.9
არაფინანსური აქტივების კლება	130,5	43,4	0,0	43,4	86,9	0,0	86,9	205.9	0.0	205.9
გადასახდელები	11 822,7	13 964,3	4 404,0	9 560,3	13 722,9	3 743,1	9 979,8	16,537.3	3,447.6	13,089.7
ხარჯები	9 523,3	10 390,2	1 009,7	9 380,5	9 926,9	459,1	9 467,8	9,822.0	487.9	9,334.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	2 299,4	3 567,8	3 394,3	173,5	3 686,5	3 214,3	472,2	6,608.4	2,879.3	3,729.1
ვალდებულებების კლება	0,0	6,3	0,0	6,3	109,5	69,7	39,8	106.9	80.4	26.5
ნაშთის ცვლილება	228,4	139,9	117,1	22,8	768,6	-157,6	926,2	-1527.0	-177.1	-1349.9

მუხლი 3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსავლები 14 804.4 ათ.ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	11 920,6	14 060,8	4 521,1	9 539,7	14 404,5	3 585,5	10 819,0	14,804.4	3,270.5	11,533.9
გადასახადები	1547,5	1 882,2	0,0	1 882,2	4 091,7	0,0	4 091,7	4 200,0	0,0	4 200,0



გრანტები	9 032,5	10 717,2	4 521,1	6 196,1	8 985,1	3 585,5	5 399,6	7,906.6	3,270.5	4,636.1
სხვა შემოსავლები	1 340,6	1 461,4	0,0	1 461,4	1 327,7	0,0	1 327,7	2,697.8	0.0	2,697.8

მუხლი 4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გადასახადები

დასახელება	კოდი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	11	1,547.5	1,882.2	0.0	1,882.2	4,091.7	0.0	4,091.7	4,200.0	0.0	4,200.0
საშემოსავლო გადასახადი			0.0		0.0	1,091.2		1,091.2	1,200.0		1,200.0
ქონების გადასახადი	113	1,547.5	1,882.2	0.0	1,882.2	3,000.5	0.0	3,000.5	3,000.0	0.0	3,000.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113111	938.9	795.2		795.2	1,771.3		1,771.3	2,132.0		2,132.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113112		0.0			44.0		44.0	0.0		
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113113	7.9	15.2	0.0	15.2	14.8	0.0	14.8	10.0	0.0	10.0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	1131131	7.9	5.5		5.5	0.0		0.0	10.0		10.0
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	1131132		9.7		9.7	14.8		14.8	0.0		0.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113114	170.5	140.4	0.0	140.4	169.5	0.0	169.5	55.0	0.0	55.0
ფიზიკური პირებიდან	1131141	152.3	123.3		123.3	113.6		113.6	50.0		50.0
იურიდიული პირებიდან	1131142	18.2	17.1		17.1	55.9		55.9	5.0		5.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113115	430.1	931.4	0.0	931.4	1,000.9	0.0	1,000.9	803.0	0.0	803.0



ფიზიკური პირებიდან	1131151	17.5	24.2		24.2	20.2		20.2	3.0		3.0
907.2	980.7		980.7	800.0		800.0					

მუხლი 5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გრანტები 7 906,6 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	კოდი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	13	9,032.5	10,717.2	4,521.1	6,196.1	8,985.1	3,585.5	5,399.6	7,906.6	3,270.5	4,636.1
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	9,032.5	10,717.2	4,521.1	6,196.1	8,985.1	3,585.5	5,399.6	7,906.6	3,270.5	4,636.1
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1311	6,019.2	6,369.9	173.8	6,196.1	5,582.0	182.4	5,399.6	4,695.1	189.0	4,506.1
გათანაბრებითი ტრანსფერი		5,830.9	6,196.1		6,196.1	5,399.6		5,399.6	4,506.1		4,506.1
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად		188.3	173.8	173.8	0.0	182.4	182.4	0.0	189.0	189.0	0.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1312	3,013.3	4,347.3	4,347.3	0.0	3,403.1	3,403.1	0.0	3,211.5	3,081.5	130.0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები		1,674.8	2,174.4	2,174.4		2,684.2	2,684.2		3,081.5	3,081.5	
სოფლის მხარდაჭერის		703.0	700.2	700.2		718.9	718.9		0.0	0.0	0.0



მხარდაჭერის პროგრამა		703.0	700.2	700.2		718.9	718.9		0.0	0.0	0.0
გრანტები			1,472.7	1,472.7		0.0	0.0		130.0	0.0	130.0

მუხლი 6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2 697.8 ათ.ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	კოდი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	14	1,340.6	1,461.6	0.0	1,461.6	1,327.7	0.0	1,327.7	2,697.8	0.0	2,697.8
შემოსავლები საკუთრებიდან	141	162.4	365.6	0.0	365.6	426.5	0.0	426.5	530.2	0.0	530.2
პროცენტები	1411	101.4	62.9		62.9	93.3		93.3	242.0		242.0
რენტა	1415	61.0	302.7	0.0	302.7	333.2	0.0	333.2	288.2	0.0	288.2
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	57.8	291.8		291.8	310.1		310.1	257.2		257.2
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, კირავნობა და სხვა) გადაცემიდან	14154	3.2	10.9		10.9	23.1		23.1	31.0		31.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	390.4	283.0	0.0	283.0	344.3	0.0	344.3	1,717.2	0.0	1,717.2
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1422	383.8	272.4	0.0	272.4	324.3	0.0	324.3	1,705.2	0.0	1,705.2
სანებართვო მოსაკრებელი	14223	0.0	16.0		16.0	35.0		35.0	10.0		10.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	142212	0.6	0.4		0.4	0.2		0.2	0.2		0.2
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	142213	111.0	107.4		107.4	145.6		145.6	1,570.5		1,570.5
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის	142214	160.4	148.6		148.6	143.5		143.5	124.5		124.5



დასუფთავებისათვის											
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1423	6.6	10.6	0.0	10.6	20.0	0.0	20.0	12.0	0.0	12.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	14232	6.6	10.6		10.6	20.0		20.0	12.0		12.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	787.8	784.6		784.6	545.6		545.6	450.4		450.4
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	144	0.0	11.0		11.0	0.0		0.0	0.0		0.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	145	0.0	17.4		17.4	11.3		11.3	0.0		

მუხლი 7. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ხარჯები 9 822,0 ათ.ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	9 523,3	10 390,2	1 009,7	9 380,5	9 926,9	459,1	9 467,8	9,822.0	487.9	9,334.1
შრომის ანაზღაურება	2 652,0	1 748,8	79,7	1 669,1	2 117,4	84,8	2 032,6	1,826.0	81.8	1,744.2
საქონელი და მომსახურება	1 493,8	1 792,6	850,6	942,0	1 361,9	283,8	1 078,1	1,422.2	271.3	1,150.9
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
პროცენტი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სუბსიდიები	4 666,4	5 766,5	72,9	5 693,6	4 965,0	86,5	4 878,5	4,843.6	86.7	4,756.9
გრანტები	0,0	322,9	0,0	322,9	367,4	0,0	367,4	1.0	0.0	1.0
სოციალური უზრუნველყოფა	700,6	619,5	6,5	613,0	947,6	4,0	943,6	1,009.8	4.6	1,005.2
სხვა ხარჯები	10,5	139,9	0,0	139,9	167,6	0,0	167,6	719.4	43.5	675.9



მუხლი 8. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება
განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება **6 402.5** ათ.ლარით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა **6 608.4** ათ.ლარით თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

ორგანი- ზაც. კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	5,7	60,0	33,4	101.1
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,0	0,8	0,0	0,5
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2 293,1	2 964,9	3 639,4	5,754.5
04 00	განათლება	0,6	356,7	1,1	392.9
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	0,0	149,6	12,0	197.9
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0,0	35,8	0,6	161.5
	ჯ ა მ ი	2 299,4	3 567,8	4 261,3	6,608.4

ბ) განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 205.9 ათ.ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
31	არაფინანსური აქტივების კლება	130,5	43,4	86,9	205.9
311	ძირითადი აქტივები	78,4	12,4	36,4	5.0
314	არაწარმოებული აქტივები	52,1	31,0	50,5	200,9
3141	მიწა	52,1	31,0	50,5	200,9

მუხლი 9. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2017 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

(ათას ლარებში)



ფუნქციონა- ლური კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწი- ფო ბიუჯეტის ფონდები- დან გამოყო- ფილი ტრანსფერე- ბი	საკუთა- რი შემოსავ- ლები		სახელმწი- ფო ბიუჯეტის ფონდები- დან გამოყო- ფილი ტრანსფერე- ბი	საკუთა- რი შემოსავ- ლები		სახელმწი- ფო ბიუჯეტის ფონდები- დან გამოყო- ფილი ტრანსფერე- ბი	საკუთა- რი შემოსავ- ლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,840.5	2,236.9	0.0	2,236.9	2,614.4	0.0	2,614.4	2,559.2	0.0	2,559.2
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლო- ბითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,840.5	2,236.9	0.0	2,236.9	2,614.4	0.0	2,614.4	2,559.2	0.0	2,559.2
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლო- ბითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,830.0	2,236.9	0.0	2,236.9	2,614.4	0.0	2,614.4	2,545.2	0.0	2,545.2
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	10.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	14.0	0.0	14.0
702	თავდაცვა	133.2	98.3	92.4	5.9	109.7	95.2	14.5	115.0	98.3	16.7
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	326.9	328.0	0.0	328.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7032	ხანძარ- საწინააღმდეგო დაცვა	326.9	328.0	0.0	328.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	1,993.3	2,482.1	2,384.8	97.3	3,192.1	2,818.6	373.5	5,692.3	2,885.0	2,807.3
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	0.0	5.0	0.0	5.0	0.0	0.0	0.0	3.6	0.0	3.6
70421	სოფლის მეურნეობა	0.0	5.0	0.0	5.0	0.0	0.0	0.0	3.6	0.0	3.6
7045	ტრანსპორტი	1,988.4	2,456.7	2,384.8	71.9	3,187.1	2,818.6	368.5	5,683.7	2,885.0	2,798.7
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1,988.4	2,456.7	2,384.8	71.9	3,187.1	2,818.6	368.5	5,683.7	2,885.0	2,798.7
7049	სხვა არაკლასიფიცირე- ბული საქმიანობა	4.9	20.4	0.0	20.4	5.0	0.0	5.0	5.0	0.0	5.0



	ეკონომიკურ საქმიანობაში										
705	გარემოს დაცვა	77.7	104.0	0.0	104.0	23.0	0.0	23.0	11.4	0.0	11.4
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	0.0	30.0	0.0	30.0	11.4	0.0	11.4	11.4	0.0	11.4
7056	სხვა არაკლასიფი- ცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	77.7	74.0	0.0	74.0	11.6	0.0	11.6	0.0	0.0	0.0
706	საბინაო- კომუნალური მეურნეობა	1,679.4	2,367.0	1,306.5	1,060.5	2,052.5	669.1	1,383.4	2,390.5	140.2	2,250.3
7061	ბინათ-მშენებლობა	106.9	95.5	0.0	95.5	99.3	0.0	99.3	661.4	43.5	617.9
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	580.5	609.7	0.0	609.7	647.2	0.0	647.2	685.0	0.0	685.0
7063	წყალმომარაგება	20.4	653.8	634.9	18.9	18.9	0.0	18.9	46.7	0.0	46.7
7064	გარე განათება	243.2	279.5	0.0	279.5	337.6	0.0	337.6	366.4	0.0	366.4
7066	სხვა არაკლასიფიცირე- ბული საქმიანობა საბინაო- კომუნალურ მეურნეობაში	728.4	728.5	671.6	56.9	949.5	669.1	280.4	631.0	96.7	534.3
707	ჯანმრთელობის დაცვა	92.6	92.0	72.9	19.1	109.3	86.5	22.8	271.0	239.7	31.3
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	92.6	92.0	72.9	19.1	109.3	86.5	22.8	109.5	86.7	22.8
7076	სხვა არაკლასიფიცირე- ბული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	161.5	153.0	8.5
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	2,782.1	3,681.9	149.6	3,532.3	2,737.1	0.0	2,737.1	2,155.8	0.0	2,155.8
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1,523.8	2,232.7	0.0	2,232.7	1,484.7	0.0	1,484.7	918.6	0.0	918.6
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	991.7	1,144.3	149.6	994.7	953.1	0.0	953.1	945.4	0.0	945.4
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	266.6	304.9	0.0	304.9	299.3	0.0	299.3	291.8	0.0	291.8
709	განათლება	1,197.0	1,640.6	356.7	1,283.9	1,522.8	0.0	1,522.8	1,928.5	0.0	1,928.5
7091	სკოლამდელი აღზრდა	1,070.3	1,399.5	286.6	1,112.9	1,348.0	0.0	1,348.0	1,757.4	0.0	1,757.4
	სხვა										



7098	არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	126.1	241.1	70.1	171.0	174.8	0.0	174.8	174.8	0.0	171.1
710	სოციალური დაცვა	700.6	927.2	41.1	886.1	1,253.7	4.0	1,249.7	1,306.7	4.0	1,302.7
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	274.1	308.7	35.8	272.9	279.9	0.0	279.9	267.7	0.0	267.7
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	102.6	133.4	0.0	133.4	133.0	0.0	133.0	124.0	0.0	124.0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	317.4	466.1	0.0	466.1	823.6	0.0	823.6	895.0	0.0	895.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	6.5	19.0	5.3	13.7	17.2	4.0	13.2	20.0	4.0	16.0
	სულ	11,823.3	13,958.0	4,404.0	9,554.0	13,614.6	3,673.4	9,941.2	16,430.4	3,367.2	13,063.2

მუხლი 10. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო (-1 420.1) ათ. ლარის ოდენობით.

მუხლი 11. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება (-1 527.0) ათ. ლარის ოდენობით.

განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 1 527.0 ათ. ლარის ოდენობით.

მუხლი 12. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში სარეზერვო ფონდი შეადგენს 14.0 ათ. ლარს.

მუხლი 13. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 189,0 ათ.ლარი, მიიძღვრება:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 86.7 ათ. ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 98.3 ათ. ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 4,0 ათ.ლარი.

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე, წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განმსახორციელებლად გამოყოფილი



მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 14. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

სამტრედიის მუნიციპალიტეტის

2017 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 15. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2017 წლის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება – 115,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 02 00)
ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის, წვევამდელთა ტრანსპორტირების ღონისძიების განხორციელება.

1. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა – 115,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 02 02)

პროგრამის აღწერა: ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის, წვევამდელთა ტრანსპორტირების ღონისძიების განხორციელება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის კოორდინაცია.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საქართველოს სამხედრო ძალების ჯანმრთელი ახალგაზრდა თაობით უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 8 181.4 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 00)

პროგრამის აღწერა: სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების, ეზოების, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, ასევე, ბორანების მოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მგზავრთა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება;
- განათებული მუნიციპალიტეტი;
- განათებული ქუჩების რაოდენობის ზრდა;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დასასვენებელი ადგილებით უზრუნველყოფა დღე-ღამის ნებისმიერ დროს;
- გამართული კომუნალური ინფრასტრუქტურა;



- მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის იერსახის გაუმჯობესება;
- მოწესრიგებული სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემები;
- სოფლის ინფრასტრუქტურის იერსახის გაუმჯობესება;
- სოფლის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რეაბილიტირებული და ახალი გზების რაოდენობა;
- ექსპლოატაციაში არსებული სანათი წერტილების რაოდენობა;
- რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა;
- რეაბილიტირებული და ახალი ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა;
- მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

2. გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსება – 5 765.8 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში რეაბილიტირებული გზების მოვლა-პატრონობა (ორმული შეკეთება); მრავალსართულიანი ბინის ეზოების მოწყობა ასფალტბეტონის საფარით; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შიდა გზების მოხრეშვა; სანიაღვრე არხების გაწმენდა-რეაბილიტაცია, ბოგირებისა და ცხაურების მოწყობა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაგეგმილი პროექტის „უსაფრთხო ქალაქი, უსაფრთხო რეგიონი, უსაფრთხო ქვეყანა“ ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილების მიზნით, შეძენილი იქნება მაღალი ტექნიკური მონაცემების ვიდეოკამერები. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე შეძენილი იქნება ტექნიკა, კერძოდ: თოვლის საწმენდი დანა, გრეიდერი და სხვა. ადგილობრივი ბიუჯეტით რიგი სამუშაოების ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს **2 802.0** ათ. ლარს.

ასევე, ქვეპროგრამა მოიცავს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსებას საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით (მუხლი 3 პრიმა 1). თანადაფინანსების წესის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მიერ ასანაზღაურებელი თანხა განისაზღვრა პროექტების ჯამური ღირებულების ფარგლებში არანაკლებ 5%-ის ოდენობით, რომელმაც შეადგინა 736,1 ათ. ლარი.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის №480 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 მარტის №569 განკარგულებით შეტანილი ცვლილების თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო პროექტის განხორციელებისათვის 2 005,3 ათ. ლარი, ხოლო პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელმა თანხამ შეადგინა 2 747,2 ათ. ლარი; საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ივნისის №1280 განკარგულებით შეტანილი ცვლილების თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტს პროექტის განხორციელებისათვის გამოყოფილი თანხა განესაზღვრა **1984,5** ათ. ლარით და პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხა თანადაფინანსებით განისაზღვრა 2 720,6 ათ. ლარით, რომელიც მიმართულია:

– სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშში, აღმაშენებლის, თამარ მეფის, გაგოშიძის და 9 აპრილის ქუჩაზე, სოფ. მიწაბოგირის მიმართულებით ასფალტბეტონის გზის დასაგებად – 377,6 ათ. ლარი, ხოლო პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს 502,4 ათ. ლარს.

– სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. ბაშში, ქვედა ბაშის მგზავრთა პირველი მოსაცდელიდან სოფლის ცენტრამდე ასფალტბეტონის საფარის დასაგებად – 138,8 ათ. ლარი, ხოლო პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს 198,3 ათ.



ლარს.

– სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის თემში, სოფ. ნინუკუთხეში ასფალტბეტონის საფარის დასაგებად – 107,4 ათ. ლარი, ხოლო პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს 165,3 ათ. ლარს.

– სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეწერ-ჯიხაიშის დამაკავშირებელ გზაზე, პატარა ეწერის სასაფლაოებიდან ე.წ. საწურბლიამდე ასფალტბეტონის საფარის დასაგებად – 94,1 ათ. ლარი, ხოლო პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს – 151,4 ათ. ლარს.

– სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. იანეთში, მე-3 ქუჩაზე წმ. გიორგის სახელობის ტაძრამდე ასფალტბეტონის საფარის დასაგებად – 103,4 ათ. ლარი, ხოლო პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს – 161,4 ათ. ლარს.

– ქ. სამტრედიაში, მაიაკოვსკის, დიდგორის, სოლომონ მეფის და დუმბადის ქუჩებზე ასფალტბეტონის საფარის დასაგებად – 292,7 ათ. ლარი, ხოლო პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს – 413,2 ათ. ლარს.

– ქ. სამტრედიაში, ბახტაძის, ახალგაზრდობის, ცაბაძის და ქუთაისის ქუჩებზე ასფალტბეტონის საფარის დასაგებად – 243,0 ათ. ლარი, ხოლო პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს – 363,3 ათ. ლარს.

– ქ. სამტრედიაში, ხიზლარის, გამრეკელის, ნ. ადეიშვილის ქუჩებზე, რუსთაველის მე-2 ჩიხი, ბესიკის ქუჩა და ბესიკის პირველი ჩიხი, არგონავტების ქუჩა და არგონავტების პირველი ჩიხი, გამსახურდიას მე-2 შესახვევი, ჭანტურიას მე-2 და მე-4 ჩიხში ასფალტბეტონის საფარის დასაგებად – 382,1 ათ. ლარი, ხოლო პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს – 456,4 ათ. ლარს.

– ქ. სამტრედიაში, ქაროსანიძის, პეკინის, ჩოლოყაშვილის, ერისთავის, ნიკურაძის, ორბელიანის, კრავეიშვილის, რესპუბლიკის ჩიხში დ. აღმაშენებლის ტაძრამდე ასფალტბეტონის საფარის დასაგებად – 245,4 ათ. ლარი, ხოლო პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს – 308,9 ათ. ლარს.

ასევე, ამ განკარგულებით საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვისათვის მთლიანი ღირებულება განისაზღვრა 164,5 ათ. ლარით, მათ შორის მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხა შეადგენს **158,7** ათ. ლარს, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით თანადაფინანსება შეადგენს **5,8** ათ. ლარს.

საქართველოს მთავრობის 2-ლევით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტს პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხა განესაზღვრა 791,8 ათ. ლარი, მ.შ. პროექტის განხორციელებისთვის მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხა შეადგენს **741,8** ათ. ლარს, ხოლო თანადაფინანსება – 50,0 ათ. ლარს, რომელიც მიმართულია:

– ქ. სამტრედიაში, ხიზლარის (გელოვანის) ქუჩა, კეცხოველის ქუჩა, ძვ. სამტრედიის ქუჩა, ძვ. სამტრედიის მე-2 ჩიხი, გაგარინის ქუჩა, 9 მაისის ქუჩა, გოგოძის ქუჩა, დ. აღმაშენებლის მე-3 ჩიხი, წინსვლის ქუჩა და წინსვლის ქუჩიდან №7 საჯარო სკოლამდე მისასვლელ გზაზე ასფალტბეტონის საფარის დასაგებად.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ივლისის №1401 განკარგულებაში 2017 წლის 15 აგვისტოს №1706 განკარგულებით შეტანილი ცვლილების მიხედვით, ნაცვლად ხიზლარის (გელოვანის) ქუჩისა, დაფინანსდება ლალიძე, ვახუშტის ქუჩაზე ასფალტბეტონის საფარის დაგება.

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უკანასკნელ წლებში აქტიურად



ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, მაგრამ გრძელვადიანი საჭიროებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სამუშაოების გაგრძელების აუცილებლობა. მუნიციპალიტეტში ბოლო წლებში რეაბილიტირებული ქუჩების ნაწილი ითხოვს მიმდინარე (ორმული) შეკეთებას.

– ქალაქში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით საჭიროა საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება. კორპუსების ეზოები საკმაოდ არის დამორბეული კეთილმოწყობილი ცენტრალური თუ მეორეხარისხოვანი გზიდან და იქ მცხოვრებ მოქალაქეებს ტრანსპორტით თუ ფეხით მოუწესრიგებელი ტერიტორიის (ეზოების) გავლით უწევთ გადაადგილება. საჭიროა მრავალსართულიანი ბინების ეზოებიდან ცენტრალურ და მეორეხარისხოვან გზებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია.

– მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობას ცენტრალურ და მეორეხარისხოვან გზებამდე მისასვლელად უწევთ ქვიშახრეშოვანი გზებით სარგებლობა. გზის საფარის არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, თითქმის ყველა სოფლის შიდა გზის უმეტესობა ამ ეტაპზე საჭიროებს მოხრეშვითი სამუშაოების ჩატარებას.

– მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალაქისა და სოფლების სხვადასხვა უბნებში სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირებისათვის გასაწმენდია ზედმეტი ნატანისაგან დაღეჭილი არხები, საჭიროა ნიაღვარმიმღები ობიექტების რეაბილიტაცია ქუჩებზე, რომლებზეც დაგეგმილია გზის კაპიტალური სამუშაოები, მოსაწყობია ახალი ბოგირები და ცხაურები.

– რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა; საავტომობილო გზების გამტარუნარიანობის გაზრდა; მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება; საცხოვრებელ კორპუსებში მოწესრიგებული ეზოები; საცხოვრებელ სახლებამდე მოწესრიგებული და უსაფრთხო გზით მისვლა, გამართული სანიაღვრე სისტემა გაუმჯობესებს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებს.

– პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ხიდ-ბოგირების მდგომარეობის შენარჩუნება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება;
- სკოლებთან და ჯანდაცვის ობიექტებთან გადაადგილების ხელშეწყობა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გზების გასწვრივ მცხოვრები ოჯახების მდგომარეობის გაუმჯობესება;
- საგზაო შემთხვევების შემცირება;
- რეაბილიტირებული გზების ზრდა.

2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 1 773.1 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება.

2.2.1 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება – 687,1 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის აღწერა: ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება



ახორციელებს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის და ტერიტორიაზე გამავალი გზატკეცილების დაგვა-დასუფთავებას საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან, ნარჩენების გატანას, აგრეთვე, გარე განათების ქსელების მომსახურება, სანიაღვრე და საწრეტი არხების დანალექებისაგან გაწმენდასა და გატანას, უმეტესაწესრიგად მოხეტილ მხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაკავება-იზოლაციას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- დასუფთავებული ქალაქი;
- ღამის საათებში განათებული ქალაქი;
- დასუფთავებული წყალგამტარი არხები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

2.2.2 დასუფთავება – 11,4 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02 02)

დასუფთავების ღონისძიებები – სამტრედიის მუნიციპალიტეტში მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

2.2.3 ბინათმშენებლობა – 661,4 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქ. სამტრედიაში მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავებისა და შიდა კომუნიკაციების რეაბილიტაციას. ადგილობრივი ბიუჯეტით ქვეპროგრამის ფარგლებში აღნიშნული სამუშაოები ფინანსდება **617,9** ათ. ლარით.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის №480 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 მარტის №569 განკარგულებით შეტანილი ცვლილების თანახმად სამტრედიის მუნიციპალიტეტს მრავალსართულიანი ბინების გადახურვისთვის გამოეყო 43,5 ათ. ლარი, ხოლო პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს 243,5 ათ. ლარს, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსებას საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილება მუხლი 3¹ თანადაფინანსების წესის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მიერ ასანაზღაურებელი თანხა განისაზღვრა პროექტების ჯამური ღირებულების ფარგლებში არანაკლებ 5 %-ის ოდენობით, რომელმაც შეადგინა 200,0 ათ. ლარი.

2.2.4 წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 46.8 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსებაში მყოფი სასმელი წყლის სოკოების, შადრევნების წყლის ხარჯების დაფინანსება, წყლის სისტემების მოწყობა-მომსახურება.

2.2.5 გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 366.4 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02 05)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის განათების მომსახურება და საახალწლო-საშობაო ღონისძიებებისათვის ქუჩების დეკორატიული განათებები, ასევე არსებული განათებების რეაბილიტაცია და ახლის მოწყობა.



2.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები – 540.6 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება.

2.3.1 საკადასტრო რუკების მომზადება და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება – 5,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 03 01)

სამტრედიის მუნიციპალიტეტის შენობა-ნაგებობების, ასევე საპრივატიზაციო მიწების საკადასტრო აზომვითი ნახაზების, მუნიციპალიტეტის განვითარებასთან დაკავშირებული გეგმების, პროგრამებისა და სხვა დოკუმენტების მომზადება. სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელი პროგრამების, პროექტების, საკადასტრო რუკების, სხვა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების მომზადება და დაფინანსება.

2.3.2 სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები – 226.6 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება კეთილმოწყობის სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ქალაქის ტერიტორიაზე მოსახლეობასთან მჭიდრო ურთიერთობისათვის, საზოგადოების მეტი ჩართულობისა და ინფორმაციისათვის ბანერის მოწყობა 63.8 ათ. ლარი, ასევე განხორციელდება დიდი სამამულო ომისა და სამშობლოს დაცვისას დაღუპულ მებრძოლთა მემორიალების რეაბილიტაცია – 1.7 ათ. ლარი, მოსაცდელების მოწყობა – 40,0 ათ. ლარი და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ღობის მოწყობა – 111,0 ათ. ლარი.

2.3.3 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება – 309,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 03 04)

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 მარტის №588 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის 2017 წლის 19 მაისის №984 განკარგულებით „აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ შეტანილი ცვლილების თანახმად სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1 500 ჰა თხილის ფართობის დასამუშავებლად საჭირო მუშახელის შრომის ანაზღაურებისთვის 150,0 ათ. ლარი, ხოლო საწვავის შესყიდვისათვის 12,0 ათ. ლარი.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 მარტის №588 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 ივნისის №1241 განკარგულებით „აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ შეტანილი ცვლილების თანახმად სამტრედიის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 2 360 ჰა თხილის ფართობის დასამუშავებლად საჭირო მუშახელის შრომის ასანაზღაურებლად 236,0 ათ. ლარი, ხოლო საწვავის შესასყიდად 18,9 ათ. ლარი.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 მარტის №588 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აგვისტოს №1719 განკარგულებით „აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ შეტანილი ცვლილების თანახმად სამტრედიის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხა შემცირდა 124,9 ათ. ლარით და სულ დაფინანსება განისაზღვრა 130,0 ათ. ლარით, მათ შორის 2 360 ჰა თხილის ფართობის დასამუშავებლად საჭირო მუშახელის შრომის ანაზღაურებისთვის გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 118,0 ათ. ლარი, ხოლო საწვავის შესყიდვისთვის – 12,0 ათ. ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება გაერთიანების მიმდინარე ხარჯები და ხელფასი

- პარკების ინფრასტრუქტურის განვითარება, კეთილმოწყობა;
- პარკების სანიტარიული დაცვის უზრუნველყოფა;
- თანამშრომლობა სხვადასხვა ტიპის სამსახურთან;
- სანერგე მეურნეობის მოწყობა და ექსპლოატაცია, ხე-ნარგავების გაშენება;
- პანთეონისა და სასაფლაოების ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება;



- ტერიტორიაზე მდებარე ხეების, ბუჩქებისა და ბალახების გაკრეჭა და მოვლა;
- წესდებით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკების კეთილმოწყობა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამწვანებითი სამუშაოების შესრულება;
- სანერგე მეურნეობის აღდგენა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პანთეონისა და სასაფლაოების კეთილმოწყობა;
- ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- კეთილმოწყობილი პარკები;
- გამწვანებული ქალაქი;
- სანერგე მეურნეობის კეთილმოწყობა;
- კეთილმოწყობილი პანთეონი და სასაფლაოები;
- კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა.

2.4 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები – 98,3 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდება გარე განათების ლამპიონების შეძენა.

2.5 სოფლის მეურნეობის განვითარება – 3,6 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 05)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივ ფერმერთათვის აგროტურების მოწყობას.

3. განათლება – 1 929.9 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება და შესაბამისად სამტრედიის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა. ასევე, პროგრამაში შემავალი მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის უმთავრესი მიზანია ახალი თაობის აღზრდა თანამედროვე მეთოდებისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, სკოლის გარეშე დამატებითი განათლების უზრუნველყოფა.

3.1. ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება – 1 432,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის აღწერა: სამტრედიის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ააიპ „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება“, რომელიც აერთიანებს 23 საბავშვო ბაღსა და ბაგა-ბაღს, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1935 ბავშვი. საბავშვო ბაღებში ერთი ბავშვის კვების ღირებულება შეადგენს დღეში 1,20 ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მ.შ. მასწავლებელთა და



აღმზრდელთა ხელფასებს, ბავშვთა კვების ხარჯს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს. ასევე განხორციელდება არსებული ბაღების რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ზოგად განათლებაზე ორიენტირება;
- მრავალმხრივად განვითარება;
- მომზადება ზოგადსაგანმანათლებლო დაწყებითი საფეხურის გამოწვევისათვის.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- დაწყებითი კლასების აღსაზრდელთა მაღალი აკადემიური მოსწრება;
- აღსაზრდელთა სკოლისათვის მომზადება.

3.2 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი – 171.2 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 04 03)

ქვეპროგრამის აღწერა: ფინანსდება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, სადაც ფუნქციონირებს სხვადასხვა წრე, ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიების ჩატარება. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის აღსაზრდელები აქტიურად მონაწილეობენ რაიონულ, რეგიონალურ, რესპუბლიკურ ფესტივალ-კონკურსებში, ემსახურება მომავალი თაობების ინტელექტუალურ, ესთეტიკურ-ზნეობრივ აღზრდას.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებს რაიონული მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. მუზეუმის 2017 წლის პროგრამაა სამტრედიის რაიონის ისტორიის შესწავლა, ექსპედიციები მუნიციპალიტეტის სოფლებში, ისტორიული სიძველეების მოძიება-დადგენა, ეთნოლოგიური ყოფის აღწერა, სხვადასხვა საგნების და ნივთების მოძიება, კავშირის დამყარება, ქუთაისის, ჯიხაიშის, ვანის, მარტვილისა და ჩოხატაურის მუზეუმებთან, გამოცდილების გაზიარების მიზნით.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩართულობის გაზრდა
- ახალგაზრდული საქმიანობის ხელშეწყობა
- ელექტრონული სერვისების დანერგვა
- თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- ახალგაზრდებში პროექტების მართვისა და ღონისძიებების მენეჯმენტისათვის აუცილებელი უნარების განვითარების ხელშეწყობა
- ახალგაზრდული თვითმმართველობის ფორმირება
- მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩართვა საერთაშორისო პროექტებში.

3.3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობა – 326.7 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 04 04)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს საბავშვო ბაღების რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას და სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას, ასევე საბავშვო ბაღის განთავსებისათვის საჭირო შენობის შეძენას. კერძოდ: ღანიშის ბაღის რეაბილიტაცია – 155.7 ათ. ლარი და ეზოს კეთილმოწყობა 30,0 ათ. ლარი, ნაბაკევის ბაღის საპროექტო



დოკუმენტაციის ღირებულება 21,0 ათ. ლარი, №1 საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის 120, ათ. ლარი.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები - 2 157.3 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 00)

პროგრამის აღწერა: სამტრედიის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას, ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ასევე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ნიჭიერი სპორტსმენი ახალგაზრდების გამოვლენა და წარმატებული სპორტსმენების რაოდენობის ზრდა;
- სპორტული მიღწევების გაუმჯობესება;
- მუსიკალური მიღწევების გაუმჯობესება;
- მასმედიის მედიატორის როლის გაძლიერება;
- მოსახლეობის მასიური ჩართულობა კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი პრესით;
- კულტურული ობიექტების გაუმჯობესება;
- ახალგაზრდების ჩართულობა მუნიციპალიტეტის შემოქმედებით ცხოვრებაში.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- განახლებული სპორტული ინფრასტრუქტურა;
- კვალიფიციური პედაგოგების და მწვრთნელების მოზიდვა;
- მოსახლეობის ინფორმაციული უზრუნველყოფის გაზრდა;
- კულტურულ-რელიგიური ღონის ამაღლება;
- ჯანსაღი თაობის აღზრდა;
- კულტურული ღონისძიებების ინტენსიურობის გაზრდილი მაჩვენებლები;
- ახალგაზრდული ღონისძიებების გაზრდილი რაოდენობა.

4.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 918.6 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.



4.1.1. სპორტული ღონისძიების დაფინანსება – 137,5 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 01 01)

2017 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებები. აგრეთვე, განხორციელდება სტადიონების რეაბილიტაცია.

4.1.2. სპორტული სკოლები – 781.1 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 01 02)

2017 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება:

- ა(ა)იპ – საცხენოსნო სპორტული კლუბი;
- ა(ა)იპ – კომპლექსური სპორტული სკოლა;
- ა(ა)იპ – საფრენბურთო კლუბი „ჯიკო“;
- ა(ა)იპ – ხელბურთელთა კლუბი „სამტრედია“;
- შპს – სპორტკომპლექსი „სამტრედია“;
- ა(ა)იპ – საჭიდაო კლუბი „ფალავანი“.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია არსებული ორგანიზაციების დაფინანსება.

4.1.2.1 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საცხენოსნო სპორტული კლუბი“ – 67,8 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 01 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საცხენოსნო სპორტული კლუბის მიმდინარე ხარჯები, ასევე ხელფასი.

პროგრამის აღწერა: „საცხენოსნო სპორტული კლუბის“ მიზანია წლის განმავლობაში ჩატარდეს სპორტული შეჯიბრებები, ხელი შეუწყოს საცხენოსნო სპორტის განვითარებას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- საცხენოსნო სპორტში მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- გამარჯვებულთა რაოდენობა.

4.1.2.2 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის „კომპლექსური სპორტული სკოლა“ – 151,3 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 01 02 02)

პროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება სპორტული სკოლის მიმდინარე ხარჯები.

სკოლის მიზანია სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტის ხელშეწყობა და განვითარება, ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდა და მუნიციპალიტეტში არსებული სპორტული ტრადიციების შენარჩუნებაგაძლიერება. ახალგაზრდების მაქსიმალურად ჩართვა სპორტის სხვადასხვა სახეობათა ჯგუფებში. მოსახლეობის სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე პროგრამის განხორციელება, მნიშვნელოვანია ბიუჯეტიდან სპორტის სუბსიდირების თვალსაზრისით დაფინანსება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- სპორტული ჯგუფების და სექციების ფუნქციონირება ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, კარატეში, მძლეოსნობაში, ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში, რაგბსა და აკრობატიკაში.



- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდების ჩართულობა სპორტის სხვადასხვა სახეობის ჯგუფებში, მონაწილეობა საქართველოს მასშტაბით (საჭიროების შემთხვევაში საზღვრებს გარეთაც) ჩატარებულ სხვადასხვა ჩემპიონატებსა და ტურნირებში.

- სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელ მასწავლებლებისთვის სამწვრთნელო პროცესის ნორმალური მიმდინარეობა;

- სოციალურად მძიმე ვითარების მიუხედავად სპორტის შეუფერხებელი განვითარება, ახალგაზრდა მომავალი თაობის ჩაბმა სპორტში, დასაქმება და მათი ჯანსაღი აღზრდა.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- ახალგაზრდობაში ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- სპორტულ სკოლაში არსებული სახეობის პოპულარიზაცია;
- ნაკრები გუნდების დაკომპლექტება, საქართველოს ნაკრების წევრების აღზრდა;
- შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება და ჩემპიონების გამოვლინება;
- მიღწევები სპორტში, იმერეთის, საქართველოსა და ევროპის ჩემპიონების აღზრდა.

4.1.2.3 ა(ა)იპ „საფრენბურთო კლუბი ჯიკო“ – 75,5 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 01 02 03)

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება „საფრენბურთო კლუბი ჯიკოს“ მიმდინარე ხარჯები. „საფრენბურთო კლუბი ჯიკოს“ მიზანია მუნიციპალიტეტის ფარგლებში საზოგადოების ჯანსაღი წესით ცხოვრების პროპაგანდა, მოზარდ თაობებში მისი დამკვიდრება და პოპულარიზაცია. ინტენსიური მზადება ფრენბურთელ ქალთა გუნდ „ჯიკოს“ სხვადასხვა შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- სპორტსმენთა მიწოდება ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრების გუნდებისათვის.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- ეროვნულ და ევროპულ ჩემპიონატთა ლიგის თასზე მონაწილეობა.

4.1.2.4 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის „ხელბურთელთა კლუბი სამტრედია“ – 94,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 01 02 04)

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება „ხელბურთელთა კლუბის“ მიმდინარე ხარჯები. პროგრამის მიზანია სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხელბურთის განვითარების ხელშეწყობა, საქართველოს მასშტაბით და მის ფარგლებს გარეთ გამართულ ჩემპიონატებში და ტურნირებში მონაწილეობა, არსებული ტრადიციების შენარჩუნება და ახალი წარმატებების მოპოვება, ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- სპორტული ღონისძიებათა კალენდრის შემუშავებითა და შესრულებით სპორტული რეზერვების მომზადების ეფექტური სისტემის შექმნა;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდა;



- მომავალი თაობის სწორი მიმართულებით განვითარება;
- ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა.

4.1.2.5. შპს „სპორტული კომპლექსი სამტრედია“ – 245,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 01 02 05)

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება შპს „სპორტული კომპლექსი სამტრედიის“ მიმდინარე ხარჯები და შრომის ანაზღაურება. შპს „სპორტული კომპლექსი სამტრედიის“ ძირითად მიზანს წარმოადგენს ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სპორტულ გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, აგრეთვე, სპორტსმენთათვის სამედიცინო-დიაგნოსტიკური, სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროცესის ორგანიზება; ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- ბავშვთა და მოზარდთა ჩაბმა სპორტულ საქმიანობაში.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროცესის ორგანიზება.

4.1.2.6 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი „ფალავანი“ – 147.5 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 01 02 07)

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება „საჭიდაო კლუბი ფალავანის“ მიმდინარე ხარჯები. ძირითადი მიზანია ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა ჭიდაობის შესწავლაში, აგრეთვე, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, ნაკრები გუნდებისათვის რეზერვების მომზადება, საწრთვნელი პროცესის ორგანიზება, მატერიალურ-ტექნიკური და საწრთვნელი ბაზის შექმნა, სამინისტროებისა და სხვა ორგანიზაციების დაკვეთით სპორტულ-მეთოდური საქმიანობის წაროება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- ფუნქციონირებას გააგრძელებს სპორტული ჯგუფები და სექციები თავისუფალ, ბ/რომაულ, ქართულ ჭიდაობაში, ძიუდოსა და სამბოში;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდების ჩართვა ჭიდაობის სხვადასხვა სახეობებში;
- სამწრთვნელო პროცესის ნორმალური განცორციელება.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- სოციალურად მძიმე ვითარების მიუხედავად სპორტის მეტნაკლებად შეუფერხებელი განვითარება;
- სპორტის სფეროში მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა;
- ჩემპიონებისა და პრიზიორების რაოდენობა.

4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა – 842.1 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 02)

სამტრედიის მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

4.2.1 სახელოვნებო სკოლები – 456.1 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01)



ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი მუსიკალური სკოლები:

- ააიპ – დომენტი შანიძის სახელობის № 1 სახელოვნებო სკოლა;
- ააიპ – №2 სამუსიკო სკოლა;
- ააიპ – სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლა;
- ააიპ – გომის თემის სამუსიკო სკოლა;
- ააიპ – სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა;
- ააიპ – დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა.

ქვეპროგრამის აღწერა: სუბსიდიით ფინანსდება ხელფასები და სხვა მიმდინარე ხარჯი.

სკოლების მიზანია ცოდნის მიცემა მუსიკის სფეროში, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განათლებულ-კულტურულ ადამიანად ჩამოყალიბებას, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეთა გამოვლენას, მოზარდთა მხატვრული აზროვნების, გემოვნებისა და წარმოსახვის უნარის ჩამოყალიბებას, აგრეთვე, შემოქმედებითი საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას. მოზარდთა მომზადება კონკურსებისათვის და უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლისათვის.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- მოზარდთა მომზადება კონკურსებისათვის და უმაღლესი სამუსიკოს სასწავლებლისათვის.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- კონკურსში მონაწილეთა და უმაღლეს სამუსიკო სასწავლებლისათვის მომზადებულ მოზარდთა რაოდენობა.

4.2.1.1 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის №1 სახელოვნებო სკოლა – 160.2 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის №1 სახელოვნებო სკოლის ხელფასები მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 225 მოსწავლე.

4.2.1.2 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის №2 სამუსიკო სკოლა – 53,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის №2 სამუსიკო სკოლის მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 130 მოსწავლე.

4.2.1.3 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლა – 39.0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 51 მოსწავლე.

4.2.1.4 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლა – 55,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის მიმდინარე ხარჯები სკოლაში ირიცხება 72 მოსწავლე.

4.2.1.5 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა – 55,0 ათ.



ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნო სკოლის მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 105 მოსწავლე.

4.2.1.6 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა – 37,9 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 48 მოსწავლე.

4.2.1.7 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა – 56,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეის მიმდინარე ხარჯები. ძირითადი მიზანია პირობები შეუქმნას სამტრედიაში მოღვაწე მხატვრებს თავიანთი შემოქმედების წარმოსაჩენად. ამავე დროს მიზნად ისახავს მისცეს მოსწავლეებს დაწყებითი სამხატვრო განათლება, აზიაროს ხატვის ხელოვნების საფუძვლებს, გააცნოს და შეაყვაროს ეროვნული კულტურის მემკვიდრეობა, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშები, გალერეას ფონდში დღემდე დაცული რამდენიმე ფერწერული ტილოს აღდგენა-რესტავრაციას.

4.2.2 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი – 308,3 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის მიმდინარე ხარჯები და შრომის ანაზღაურება. საქმიანობის სახეა კულტურის სხვა დაწესებულების საქმიანობა, მიზანი სოციალური ჯგუფების კულტურულ-შემეცნებითი, სამეცნიერო-საგანმანათლებლო მოღვაწეობის უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- ღონისძიებისადმი მოსახლეობის დაინტერესება

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- მაყურებელთა რაოდენობა

4.2.3. ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საბიბლიოთეკო გაერთიანება“ – 77,7 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 02 04)

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ბიუჯეტიდან ფინანსდება ა(ა)იპ – მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის მიმდინარე ხარჯები და შრომის ანაზღაურება. მიზანია მოსახლეობის მომსახურება საბიბლიოთეკო ფორმებით და მეთოდებით, ახალი წიგნების, ჟურნალ-გაზეთების მიწოდება, ლიტერატურული საღამოები, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან და სხვა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- წიგნისადმი მოსახლეობის ინტერესის ზრდა.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- მკითხველთა რაოდენობა.

4.3 შპს „სამტრედიის მაცნე“ – 65,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 03)

ქვეპროგრამის აღწერა: იგი ერთადერთი გაზეთია, რომელიც მაქსიმალურად აშუქებს ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას, მუნიციპალიტეტისა და საკრებულოს საქმიანობას. შპს „სამტრედიის მაცნეს“ მიზანია სტაბილურად გამოცემის უზრუნველყოფა და მოსახლეობაზე მიწოდება, ამავე დროს



უზრუნველყოფს პოლიტიკური, საზოგადოებრივი, კულტურული და შემოქმედებითი საკითხების გაშუქებას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- გაზეთისადმი მოსახლეობის ინტერესის ზრდა გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიცისტური და სოციალურ-საყოფაცხოვრებო თემატიკის შემცველი მასალებით.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- მკითხველთა რაოდენობის ზრდა;
- პროფესიულ დონეზე მოთხოვნილი მასალების მომზადება.

4.4. ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საინფორმაციო ცენტრი“ – 38,9 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 04)

ქვეპროგრამის აღწერა: საინფორმაციო ცენტრის მიზანს წარმოადგენს მჭიდრო ურთიერთობა ადგილობრივ ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის, რისთვისაც შექმნილია საინფორმაციო ყუთი და ცხელი ხაზი. მის მიერ შექმნილი ოფიციალური ვებ. გვერდზე (www.samtredia.com.ge) განთავსებულია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ოფიციალური პირების შესახებ, ასევე, კულტურული და საზოგადოებრივი საკითხები, პერმანენტულად შუქდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ახალი ამბები. მისი მიზანია ურთიერთობა ახალგაზრდებთან და არაფორმალური განათლების კუთხით მუშაობა. საინფორმაციო ცენტრი ახორციელებს სოციალურ პროექტებს.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- მოსახლეობის დაინტერესება ცენტრის მუშაობით;
- სოციალური პროექტის ამოქმედება (ინგლისური და კომპიუტერების კურსები);
- სამტრედიის მუნიციპალიტეტის საიტის შექმნა.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- საიტის სტუმართა რაოდენობა;
- სოციალური პროგრამის მსურველთა რაოდენობა;
- პერიოდული სოციალური გამოკითხვები ექვს თვეში ერთხელ.

4.5. ახალგაზრდული ორგანიზაციების კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება – 42,7 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 05)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში პროგრამის ფარგლებში.

4.5.1. ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება – 15.2 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 05 01)

ფინანსდება სხვადასხვა ახალგაზრდული ღონისძიებები.

4.5.2 კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება – 27.5 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 05 02)

ფინანსდება კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის სხვადასხვა ღონისძიებები.



4.6. ხონი-სამტრედიის ეპარქიის დაფინანსება – 250,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ხონი-სამტრედიის ეპარქიის სუბსიდირება, დაფინანსდება მთავარი საკათედრო ტაძარი.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 1577.7 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

5.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები – 271.0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებები.

5.1.1 ა(ა)იპ – საზოგადოებრივი „ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი“ – 109,5 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 06 01 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:

- გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები;
- იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელების ხელშეწყობა, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა;
- იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანი ფაუნის გავრცელების შესწავლა;
- პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები;
- პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა;
- დაავადების დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა;
- სანიტარიული ღონისძიებები.

5.1.2 სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული ცენტრის მშენებლობა – 161,5 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 06 01 02)

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის №480 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 ივლისის №1551 განკარგულებით შეტანილი ცვლილების თანახმად სამტრედიის მუნიციპალიტეტს ქ. სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №84-ში სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული ცენტრის ოფისის მშენებლობისთვის გამოეყო 153,0 ათ. ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსების წესის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მიერ ასანაზღაურებელი თანხა განისაზღვრა 8,5 ათ. ლარით, ხოლო პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელმა თანხამ შეადგინა 161,5 ათ.



5.2 სოციალური პროგრამები 1 306.7 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეულ შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

5.2.1 ა(ა)იპ სახლი „თანადგომა“ 170,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 06 02 01)

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

- მარტოხელათათვის და სოციალურად დაუცველი პირებისათვის უფასო სასადილოთი სარგებლობა (130 სოციალურად დაუცველი პირი);
- მარტოხელა პენსიონრებისათვის და სოციალურად დაუცველი პირებისათვის უფასოდ პურის სარგებლობა (360 სოციალურად დაუცველი პირი);
- პირველი ჯგუფის ინვალიდებისათვის ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით ამანათების მომზადება (18 წლამდე ასაკის 75 ბავშვი);
- დღეგრძელი პირებისათვის მოხუცთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ამანათების მომზადება (100 და 100 წელს ზემოთ);
- მარტოხელა და სოციალურად უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი პირებისათვის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით ამანათების მომზადება (135 სოციალურად დაუცველი პირი) ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით მრავალშვილიანი ოჯახებისათვის ამანათების მომზადება (5 და მეტი შვილი.).

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- მარტოხელა და სოციალურად დაუცველი მოქალაქეების კვებით უზრუნველყოფა, რომლებიც მიეკუთვნებიან უმწეოთა კატეგორიას.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- კვებით უზრუნველყოფილ მოქალაქეთა საშუალო რაოდენობა.

5.2.2 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი“ 97,7 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამის აღწერა: მარტოხელა მიუსაფარ მოხუცებს ადგილებზე გაეწიოთ მზრუნველობა, კერძოდ, სხვადასხვა სახის აუცილებელი დახმარება, საყოფაცხოვრებო-სოციალური პირობებით უზრუნველყოფა, დღე-ღამის განმავლობაში სამჯერადი კვება, შემოსვა, სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება, მედპერსონალისა და სანიტართა სადღეღამისო მორიგეობა, მათი ინტერესების დაცვა და წარმოჩენა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, მათი ჩაბმა საზოგადოებრივად აქტიურ საქმიანობაში.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის მკვიდრ მიუსაფარ მარტოხელა მოხუცთა უმძიმესი მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესება;



- სულიერი მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მდგომარეობა გაუმჯობესებულ ხანდაზმულთა რაოდენობა;
- გაუმჯობესებული სულიერი მდგომარეობა ხანდაზმულებში.

5.2.3 დედათა და ბავშვთა დახმარება 124,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 06 02 03)

– ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

– ახალშობილთა დახმარება

ერთჯერად (თითო ბავშვზე) 100 (ასი) ლარის ოდენობით დაფინანსებას მიიღებენ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ პირველი და მეორე შვილი და რომლებსაც მინიჭებული აქვთ 0-დან 100 000-მდე სარეიტინგო ქულა.

1. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ მე-3 შვილი ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

2. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ მე-4 შვილი ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ 250 ლარის ოდენობით.

3. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ მე-5 შვილი და მეტი ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ 400 ლარის ოდენობით.

4. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ ტყუპები დაფინანსებას მიიღებენ თითოეულ შვილზე: პირველი და მეორე შვილისა და მეორე და მესამე შვილის შემთხვევაში 200 ლარს, მესამე და მეოთხე შვილის და მეტის შემთხვევაში 400 ლარს.

5. ახალშობილთა ერთჯერადი დახმარება გაიცემა, თუ ახალშობილი დაიბადა 2016 წლის 1 სექტემბრის შემდეგ და დახმარება არ აქვს აღებული.

– მრავალშვილიანი ოჯახებისათვის (4 ან მეტი შვილი 18 წლამდე) ფულადი დახმარება

(თვეში 20 ლარი თითოეულ ბავშვზე).

5.2.4 სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება 895,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 06 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია;

1. მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება

– მოქალაქეთა ოპერაციების დაფინანსება – მოქალაქე, რომელიც დაავადებულია გულსისძარღვთა დაავადებით, ონკოლოგიური დაავადებით, გინეკოლოგიური დაავადებით და ასევე სხვა სიცოცხლისათვის საშიში დაავადებით და საჭიროებს გადაუდებელ ოპერაციას, ქიმიოთერაპიას, კოქსარტოროზი, გონარტოროზი, ანევრიზმა, თრომბოფლებიტი და სხვა დაავადებების სტაციონარული მკურნალობა (თანადაფინანსებით პაციენტის გადასახდელი თანხის 50%, განსაკუთრებულ შემთხვევაში პიროვნების სოციალური სტატუსისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით თანადაფინანსების 70 – 100%-ით) დაფინანსდეს 100-დან 500 ლარამდე. (დაფინანსებას მიიღებენ მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200000-ს, განსაკუთრებულ შემთხვევაში შუამდგომლობა გამგებლის წარმომადგენლის, მოქალაქის მიმღე სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შესახებ).

– მოქალაქეთა სამედიცინო გამოკვლევის დაფინანსება – მოქალაქეები, რომლებიც საჭიროებენ



სხვადასხვა სამედიცინო გამოკვლევებს, დიაგნოსტიკას, კომპიუტერულ კვლევას, მაგნიტურ-რეზონანსულ კვლევას, PET (პოზიტრონულ ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფია)-კვლევას, (თანადაფინანსების 50%, განსაკუთრებულ შემთხვევაში პიროვნების სოციალური სტატუსისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით თანადაფინანსების 70 – 100%), დაფინანსდეს 100-დან 300 ლარამდე. (დაფინანსებას მიიღებენ მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000-ს, განსაკუთრებულ შემთხვევაში შუამდგომლობა გამგებლის წარმომადგენლის, მოქალაქის მძიმე სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შესახებ).

2. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა

– მოქალაქეები, რომლებიც არიან ქრონიკულად დაავადებულები (ეპილეფსია, პარკინსონი, დიაბეტი – გართულებული ფორმით, ასთმა, ინსულტი, ინფარქტის შემდგომი მკურნალობა, შიზოფრენია და ფსიქონერვული დაავადებები, სისხლძარღვოვანი დაავადებები და სხვა, იშვიათი მძიმე დაავადებები), პიროვნების სოციალური სტატუსისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, წლის განმავლობაში მედიკამენტებისათვის გაიცეს 150 ლარამდე (გარდა გამონაკლის შემთხვევისა). მძიმე და განსაკუთრებულ შემთხვევებში ავთვისებიანი სიმსივნური დაავადების დროს მედიკამენტების ღირებულების შესამდგომად თანადაფინანსება 300 ლარამდე. (დაფინანსებას მიიღებენ მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200000-ს, განსაკუთრებულ შემთხვევაში შუამდგომლობა გამგებლის წარმომადგენლის, მოქალაქის მძიმე სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შესახებ).

– მოქალაქეები, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საჭიროებენ მედიკამენტოზურ მკურნალობას წლის განმავლობაში მედიკამენტებისათვის გაიცეს 100 ლარამდე. (დაფინანსებას მიიღებენ მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000-ს, განსაკუთრებულ შემთხვევაში შუამდგომლობა გამგებლის წარმომადგენლის, მოქალაქის მძიმე სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შესახებ).

– ომის ვეტერანებისათვის, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საჭიროებენ მედიკამენტოზურ მკურნალობას, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200000-ს, წლის განმავლობაში მედიკამენტებისათვის გაიცეს 200 ლარამდე, გარდა გამონაკლის შემთხვევისა;

3. სტუდენტების დახმარება

– უმაღლეს სასწავლებლის სტუდენტებს 500 ლარით გაეწევათ ერთჯერადად;

ა) დედ-მამით ობოლი;

ბ) მრავალშვილიანი (4 და მეტ შვილიანი) ოჯახებიდან;

გ) სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, რომელთაც აქვთ მინიჭებული 0-დან 57000-ჩათ. სარეიტინგო ქულა.

4. უდედმამო ბავშვების დახმარება

მოსარგებლე 18 წლამდე ბავშვები, რომლებსაც გარდაეცვალა მშობლები ან ბავშვები, რომელთა მშობლების ადგილსამყოფელი უცნობია და ზრდის მეურვე ან მზრუნველი

– უდედმამო ბავშვებზე 0-დან 18 წლის ჩათვლით დახმარება გაიცემა ყოველთვიურად თითოეულ ბავშვზე 50 ლარის ოდენობით.

5. ასი და მეტი წლის ასაკის უზუცეს დღეგრძელთა დახმარება

ერთჯერა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით დაფინანსებას მიიღებენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული მოქალაქეები, რომელთაც შეუსრულდათ 100 და



მეტი წელი.

6. საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა (ვეტერანთა) სოციალური დახმარება

– მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერად 200 (ორასი) ლარიან სოციალურ დახმარებას მიიღებენ შემდეგი კატეგორიის მებრძოლთა (ვეტერანთა) ოჯახები და ომის მონაწილეები:

ა) საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ინვალიდები;

ბ) საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის შედეგად გარდაცვლილთა ოჯახები;

– მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერად 100-ლარიან სოციალურ დახმარებას მიიღებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლები, მარჩენალდაკარგულები, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან გათანაბრებული, რომლებიც წარმოადგენენ სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, რომელთაც გააჩნიათ 0-დან 100000 სარეიტინგო ქულა.

7. მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება

– ადგილობრივი ბიუჯეტიდან ანაზღაურდება შემდეგი სახის სარიტუალო მომსახურება:

ა) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება

ბ) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება

გ) თანხა გაიცემა 250 ლარის ოდენობით

8. ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქებისას სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეთა ფინანსური დახმარება

– ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქებისას სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეთა და გარდაცვლილ ოჯახის წევრთა ფინანსური დახმარება 26 აპრილს 200 ლარის ოდენობით.

9. დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების დახმარება

ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების დახმარებას თითოეულისათვის 200 ლარი ყოველთვიურად.

10. ლეიკემიით, ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით, დიაბეტით და აუტიზმით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური დახმარება

1. ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური დახმარება – ითვალისწინებს ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა (18 წლამდე) აღრიცხვას და ყოველთვიურ დახმარებას 200 ლარის ოდენობით.

2. ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვების (18 წლამდე) ფინანსური დახმარება – ითვალისწინებს ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა (18 წლამდე) აღრიცხვას და ყოველთვიურ დახმარებას 50 ლარის ოდენობით.

3. დაუნის სინდრომით დაავადებული ბავშვების (18 წლამდე) ფინანსური დახმარება – ითვალისწინებს დაუნის სინდრომით დაავადებული ბავშვების ერთჯერად ყოველთვიურ დახმარებას 50 ლარის ოდენობით.

4. დიაბეტით და აუტიზმით დაავადებული ბავშვების (18 წლამდე) ფინანსური დახმარება – ითვალისწინებს დიაბეტით დაავადებული ბავშვების ყოველთვიურ დახმარებას 50 ლარის ოდენობით.

5. ნივთიერებათა ცვლის მოშლით მიმდინარე დაავადებები, ჰიპერალანინემია და სხვა იშვიათი



დაავადების მქონე ბავშვების (18 წლამდე) ფინანსური დახმარება – ითვალისწინებს აღნიშნული დაავადებით დაავადებული ბავშვების ყოველთვიურ დახმარებას 50 ლარის ოდენობით.

11. 2008 წლის აგვისტოს ომში გარდაცვლილ მეომართა ოჯახების ფინანსური დახმარება

ითვალისწინებს 2008 წელს გარდაცვლილ მეომართა ოჯახის წევრების ერთჯერადად დაფინანსებას 500 ლარით.

12. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარება

– ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევათ მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო, სმენადაქვეითებულ, ყრუ-მუნჯ მოქალაქეებს 200 ლარის ოდენობით.

– ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევათ შეზღუდული შესაძლებლობის პირებს, რომლებიც ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად გადაადგილებას, ასევე, შშმ პირებს: ეპილეფსია, გონებრივი ჩამორჩენილობა (დაუზუსტებელი), 150 ლარის ოდენობით.

– ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევათ მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და ასევე ფსიქონერვული და შიზოფრენიით დაავადებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, 100 ლარის ოდენობით;

– ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიეცემათ შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვებს 18 წლამდე, 200 ლარის ოდენობით;

– ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიეცემათ ლეიკემიით, ცერებრალური დამბლით და დაუნით სინდრომით დაავადებულ 18 წლის ზემოთ მოქალაქეებს 200 ლარის ოდენობით;

– თუ ბენეფიციარს დახმარების მიღების უფლება აქვს ამ მუხლის „1“, „2“, „3“, „4“, „5“ პუნქტით გათვალისწინებული ერთდროულად ერთზე მეტი საფუძვლით, დახმარება მიეცემა მხოლოდ ერთი საფუძვლით, მათ შორის, მაქსიმალური თანხის უპირატესობით.

13. ერთჯერადი დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში

ოჯახებს, რომელთაც შექმნილი აქვთ განსაკუთრებულად მძიმე სოციალური მდგომარეობა (ტრაგედია, უბედური შემთხვევა, კატასტროფა და სხვა), ერთჯერადი დახმარების ოდენობა განისაზღვროს გამგეობაში შექმნილი კომისიის გადაწყვეტილების მიერ, რომლის ოდენობაც განისაზღვროს (100 – 500) ლარის ოდენობით.

– ოჯახები, რომლებიც დგანან სიღატაკის რისკის ქვეშ (ენგრევით საცხოვრებელი სახლი, ან საჭიროებენ გადაუდებელ მინიმალურ სარემონტო სამუშაოების ჩატარებას) ერთჯერადი ფინანსური დახმარების ოდენობა განისაზღვროს გამგეობაში შექმნილი კომისიის მიერ 100 – 500 ლარის ოდენობით.

– მოქალაქეები, რომლებიც არიან მარტოხელები, ფსიქიურად დაავადებულები, შეჭირვებულები, არასაპენსიო ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არიან შრომისუუნარონი გამგეობაში შექმნილი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე მიეცეთ ყოველთვიური ფინანსური დახმარება 30 ლარის ოდენობით.

– სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები ოჯახები, რომლებიც დახმარების მოთხოვნის მომენტში სხვადასხვა მიზეზების გამო განიცდიან უკიდურეს გასაჭირს (არიან მცირეწლოვანი და მრავალშვილიანი ოჯახები, უსახლკარონი, მარტოხელა მშობლები, მარჩენალდაკარგულები და ოჯახები, რომელთაც არანაირი შემოსავალი არ გააჩნიათ ოჯახის სარჩენად და სხვა) ერთჯერადი დახმარების ოდენობა განისაზღვროს გამგეობაში შექმნილი კომისიის გადაწყვეტილებით 100 – 150 ლარის ოდენობით.

– სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრებ ოჯახებს, რომლებსაც დაეწვათ საცხოვრებელი სახლი 2017 წელს ან 2016 წლის დეკემბრის თვეში და არ აუღიათ დახმარება, ერთჯერადი ფინანსური დახმარება განისაზღვროს გამგეობაში შექმნილი კომისიის მიერ სიმძიმის მიხედვით 500 – 2000 ლარის ოდენობით.



14. სოციალურად დაუცველი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ფინანსური დახმარება

–ერთჯერადი მატერიალური დახმარება 150 ლარის ოდენობით, გაეწევათ სოციალურად დაუცველი, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირებს და ოჯახის წევრებს, რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს 0 – 200000-მდე.

15. წითელი ჯვრის თანადაფინანსება

სოციალურად იზოლირებული და სოციალურად დაუცველი ოჯახების უმწეობის (ხანდაზმულები 60 წლის ზემოთ და ახალგაზრდები 15 – 27 წლამდე) შემცირებისა და ხელშეწყობის მიზნით ადგილობრივი რესურსების გამოყენება მათი უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების გაძლიერების, განვითარების, საკუთარი ღირსებისა და თვითდაჯერებულობის გრძნობების ამაღლების მიზნით მათი ჩართვა სხვადასხვა აქტივობებში.

მოსალოდნელი შედეგი: მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება; პროგრამით მოსარგებლე მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური პირობების გაუმჯობესება; ჰემოდიალიზზე მყოფი პირების სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება, უდემამო ბავშვების სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

16. სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ბინის ქირით უზრუნველყოფა

განსაკუთრებულ შემთხვევაში მოქალაქის ბინის ქირით უზრუნველყოფა 100 ლარის ოდენობით.

5.2.5 დაკრძალვის ხარჯი 10,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 06 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: *სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის თანხა მ.შ. ტრანსფერით 4,0 ათასი ლარი .*

– ადგილობრივი ბიუჯეტიდან ანაზღაურდება მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა, სხვა ომის მონაწილეთა და მე-2 მსოფლიო ომის მონაწილეთა დაკრძალვის ხარჯი 250 ლარის ოდენობით.

